ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების პოსტ-საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

24 იანვარი - 23 მარტი, 2022

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი 3

მონიტორინგის მეთოდოლოგია 4

ძირითადი მიგნებები 5

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი 7

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი 7

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია 12

მთავარი არხი 17

იმედი 22

რუსთავი 2 27

ტვ პირველი 32

გენდერული სტერეოტიპები – სატელევიოზიო ახალ ამბებში 37

შესავალი

სატელევიზიო ახალი ამბების პოსტ-საარჩევნო პერიოდის გაშუქების მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 24 იანვრიდან - 23 მარტამდე.

მონიტორინგი მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ რა სიხშირითა და ტონით აშუქებდა სატელვიზიო მედია სხვადასხვა სუბიექტს პოსტ-საარჩევნო პერიოდში. გაშუქების ტონის მიხედვით შეინიშნებოდა თუ არა სატელევიზიო მედიასაშუალებების მიკერძოება რომელიმე სუბიექტის მიმართ? რამდენად იცავდა სატელევიზიო მედია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ძირითად პრინციპებს ადგილობრივი არჩევნების შემდგომ პერიოდში სუბიექტთა გაშუქების დროს.

მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები:

მედიამონიტორინგისთვის შეირჩა 6 სატელევიზო არხი. ესენია:

- პირველი არხი;
- აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- ტელეკომპანია მთავარი;
- რუსთავი 2;
- იმედი;
- ტვ პირველი;

მონიტორინგისთვის მედიასაშუალებები რეიტინგებისა და მედიის სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზე შეირჩა.

მონიტორინგის სუბიექტები

- საარჩევნო სუბიექტები (პარტიები, პოლიტიკოსები და დამოუკიდებელი კანდიდატები, რომლებიც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდნენ);
- მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის ა/რ);
- პრეზიდენტი;
- ბიძინა ივანიშვილი;
- მიხეილ სააკაშვილი.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქება. მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი კომპონენტების გათვალისწინებით.

რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი,ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის

დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა არა მხოლოდ იმ პარტიებსა და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობდნენ, არამედ ყველა მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებაზე.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე მომზადებულ სიუჟეტებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი. ვინაიდან, მონიტორინგის დროს ყველაზე აქტუალური თემა 24 თებერვალს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი იყო, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმას, თუ როგორ აშუქებდა სატელევიზიო მედია მონიტორინგის სუბიექტებს ამ ომთან მიმართებაში.

მონიტორინგის პერიოდი კონკრეტული თემების გაშუქების მიხედვით პირობითად ორ ნაწილად შეგვიძლია გავყოთ - 24 იანვრიდან 23 თებერვლამდე და 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და მონიტორინგის ბოლომდე (23 მარტი) ყველა სატელევიზიო არხის მთავარი თემა რუსეთ-უკრაინის ომი გახდა. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მეორე ეტაპზე მთავარი თემა უკრაინის კრიზისთან/ომთან მიმართებაში ქართული პოლიტიკური სპექტრის გაშუქებაზე დაკვირვება იყო. უკრაინის თემა მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელიც მას რამენაირად უკავშირდებოდა. მაგალითად: პარლამენტის მიერ უკრაინის მხარდასაჭერი რეზოლუციის მიღება, უკრაინის მხარდასაჭერი აქციები, ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა, დევნილები უკრაინიდან, საერთაშორისო პოლიტიკურ სანქციებთან მიერთება, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე განაცხადის შეტანის საკითხი, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა, პრემიერის განცხადებები რუსეთისთვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებთან არმიერთების თაობაზე და ა.შ.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- პოსტსაარჩევნო პერიოდში სატელევიზიო ახალ ამბებში ყველაზე აქტიურად გაშუქდა რუსეთ-უკრაინის ომი, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობასთან დაკავშირებული საკითხები და პანდემია;
- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ყველა სატელევიზიო არხის მთავარი თემა გახდა რუსეთ-უკრაინის ომი;
- პოსტსაარჩევნო პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეული ყველა არხის მონაცემებით პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას;
- პოსტსაარჩევნო პერიოდში მედიაგარემო მკვეთრად იყო პოლარიზებული. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, მეორე კი ოპოზიციისადმი. მიკერძოება გამოიხატებოდა არასასურველი საარჩევნო სუბიექტის ნეგატიურ გაშუქებაში;
- რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ეს პოლარიზება უფრო გაიზარდა. ხელისუფლებისადმი მიკერძოებულ სატელევიზიო არხებზე მთავრობის გაშუქების დადებითმა ტონმა იმატა, ოპოზიცია კი უფრო უარყოფითად შუქდებოდა;
- რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ არხებზე მთავრობის უარყოფითი გაშუქების ტონი გაიზარდა –ოპოზიცია კი უფრო დადებითად შუქდებოდა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელ არხს, რუსთავი 2-სა და „იმედს“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ;
- პოსტსაარჩევნო მონიტორინგის პერიოდში 1-ელ არხზე ყველაზე დადებითად შუქდებოდა მთავრობა, ყველაზე უარყოფითად – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- პოსტსაარჩევნო მონიტორინგის პერიოდში „მთავარი არხი“ მაუწყებლობდა ეკრანზე წარწერით #„თავისუფლებამიშას“ ამავე შინაარსით გადიოდა სარეკლამო ტიხრებიც;
- „მთავარ არხს“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია ყველაზე პოზიტიურად ადგილობრივ ხელისუფლებას აშუქებდა;
- „იმედი“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებით გამოირჩევა. აქ მმართველი გუნდი დადებითად იყო წარმოჩენილი და ამ არხზე ოპოზიცია მაქსიმალურად დისკრედიტირებულია.
- პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგად ეროვნული მაუწყებლები პოსტწინასაარჩევნო პერიოდში ხშირად არღვევდნენ სამართლიანი და თანაბარი გაშუქების პრინციპს;

- წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგების მსგავსად, პოსტსაარჩევნო პერიოდში კვლავ ხშირია პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულირების შემთხვევები. ხშირია გონივრული ბალანსის დარღვევის და შეუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები. ასევე, გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგია და ვიდეო- და ტექსტით მანიპულირების შემთხვევები.

- ჟურნალისტთა ტექსტებში თითქმის არ გვხვდებოდა სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები;

- მონიტორინგის პერიოდში სექსისტური განცხადებების ტირაჟირების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 21 საათზე“ და გადაცემას „აქტუალური შაბათი“. „პირველ არხზე“ მონიტორინგის პერიოდში „მოამბეში“ ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე, უკრაინაში ომის დაწყებამდე, ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 30 %). ყველაზე უარყოფითად „პირველ არხზე“ გაშუქდა პარტია „საქართველოსთვის“ (მისთვის დათმობილი დროის 40 %).



უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ პერიოდში მთავრობის გაშუქების დადებითმა ტონმა იმატა (მისთვის დათმობილი დროის 39 %). „პირველ არხზე“ ასევე მოიმატა „ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების უარყოფითმა ტონმაც (მისთვის დათმობილი დროის 32 %).



შინაარსობრივი შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხი მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს. „მოამბეში“ ეთიკური სტანდარტები მეტწილად დაცულია. თუმცა 1-ელი არხი კვლავ ლოიალურია ხელისუფლების მიმართ. ერთი მხრივ, არხი აშუქებს დღის მთავარ მოვლენებს, თუმცა ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე ხაზგასმის გარეშე. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გადის ხელისუფლების წევრების მამხილებელი, მკვეთრად კრიტიკული მასალები; სანაცვლოდ, შუქდება მთავრობის წევრების თითქმის ყველა, მათ შორის უმნიშვნელო შეხვედრაც. კვლავ ტენდენციის ხასიათი აქვს სიუჟეტების დასრულებას მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასებებით.

აღსანიშნავია, რომ, წინა სამონიტორინგო პერიოდისგან განსხვავებით, 1-ელი არხის ეთერში აღარ გასულა გადაცემა „ახალი კვირა“, რომელიც, „მოამბის“ სარედაქციო პოლიტიკისგან განსხვავებით, ხელისუფლების მიმართ უფრო კრიტიკული იყო. გადაცემის წამყვანმა და ჟურნალისტების ნაწილმა „ახალი კვირის“ ეთერიდან მოხსნის მიზეზად მენეჯმენტის მხრიდან ცენზურაზე საჯაროდ ისაუბრეს.

„მოამბე“ რჩება ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილად და ეს მიკერძოებული დამოკიდებულება და სახელისუფლებო მესიჯბოქსის ტირაჟირება მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქების დროს.

უკრაინაში ომის დაწყებამდე „მოამბეში“ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად უკრაინის კრიზისი, კოვიდპანდემია და მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის თემები შუქდებოდა.

ამ დროს არხი გამოირჩევა საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობის პოზიტიურად გაშუქებით და ეს გამოიხატება როგორც მისი აქტივობების დადებითად წარმოჩენით, ასევე, მის მიმართ კრიტიკული საკითხების არასრულყოფილად გაშუქებით. მაგალითად, 22 თებერვალს „მოამბეში“ გასული სიუჟეტი „ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის 1 წელი“ (21:47:55) პრემიერს ცალსახად დადებითად წარმოაჩენდა. არ დასმულა მის მიმართ კრიტიკული კითხვები და სიუჟეტი ეყრდნობა მხოლოდ მმართველი გუნდის წარმომადგენელთა შეფასებებს. „ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, წარმატებული სოციალური პროგრამები და პანდემიის ეფექტური მართვა“, - ასე აფასებს უმრავლესობა ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის ერთ წელს. მმართველი გუნდის აზრით, მთავრობის მუშაობა ეფექტიანია და მოლოდინები სამომავლოდაც პოზიტიური. დეპუტატები ერთ-ერთ მთავარ მიღწევად სათამაშო ბიზნესის შეზღუდვის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებსაც ასახელებენ. ირაკლი ღარიბაშვილის ჩართულობით აზერბაიჯანულმა მხარემ კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქე გაათავისუფლა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ისინი საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აქტიური ჩართულობით ასევე შესაძლებელი გახდა სომხური მხარის მიერ აზერბაიჯანული მხარისთვის მნიშვნელოვანი მასალების გადაცემა დანაღმული ტერიტორიების შესახებ”, - ისმოდა მასალაში.

პოზიტიურად და კრიტიკის გარეშე შუქდებოდა არხზე ეკონომიკური მოვლენები. მაგალითად, 31 იანვარს „მოამბეში“ გავიდა სიუჟეტი „ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები“. წამყვანის ტექსტში და სიუჟეტშიც პოზიტიურად იყო წარმოჩენილი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა და არაფერი თქმულა ინფლაციაზე, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში მაქსიმალურ მაჩვენებელზეა.

„ეკონომიკური ზრდის პარალელურად პოზიტიურ ტრენდს აჩვენებს პანდემიის გამო ყველაზე დაზარალებული სექტორი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, ქვეყანაში სექტორის აღდგენის ტემპები მოსალოდნელზე მაღალია“, - თქვა ჟურნალისტმა.

ასევე უკრიტიკოდ და პასუხისმგებელი პირის გამოკვეთის გარეშე გააშუქა „მოამბემ“ 2 თებერვალს ინფლაცია: „ინფლაციის მაჩვენებელი - შეფასებები“ (14:00). თუკი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში აქცენტი პოზიტიურ დეტალებზე იყო, ამ შემთხვევაში ყურადღება არ გამახვილებულა ნეგატიურ მხარეებზე. ინფლაციის მიზეზი იყო „გლობალური ფაქტორები“ და „საქართველო ვერ იქნება გამონაკლისი“.

აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტებში დამოუკიდებელი ექსპერტების ნაცვლად მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლის კომენტარები შესთავაზეს მაყურებელს. მეტიც, ინფლაციაზე მომზადებულ მასალას მოჰყვა მონაცემები ქვეყანაში „გაზრდილ ტურისტულ მაჩვენებლებზე“ და მასალები „ახმეტის მუნიციპალიტეტში ახალი პრემიუმ სასტუმროს“ აშენების შესახებ.

რუსეთ-უკრაინის ომი დაწყების შემდეგ საზოგადოებრივ მაუწყებელზე წამყვანი თემა იყო. მთავარის საინფორმაციო გამოშვება თითქმის ყოველდღე უკრაინის ომის მიმოხილვით იწყებოდა, მათ შორის საკუთარი კორესპონდენტის პირდაპირი ჩართვებით და სხვადასხვა უცხოურ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული სიუჟეტებით.

,,მოამბეში“ ვრცლად შუქდებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი, მათ შორის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრები და მოლაპარაკებები ევროპელ დეპუტატებთან. ასევე, აქცენტი კეთდებოდა იმ დახმარებებზე, რომელსაც იჩენს საქართველოს მთავრობა საქართველოში ჩარჩენილი უკრაინელი მოქალაქეების მიმართ.

ამ ფონზე უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მთავრობის დადებითი გაშუქების და ოპოზიციის, კერძოდ კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების უარყოფითი ტონი გაიზარდა. ამის მაგალითია 25 თებერვალს „სანქციების არდაწესებაზე“ პრემიერის განცხადების შესახებ მომზადებული სიუჟეტი (57:00). ეს ამბავი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 57-ე წუთზე გაშუქდა და სიუჟეტში პრემიერის გადაწყვეტილება ეროვნულ ინტერესებზე გათვლილ, ფრთხილი და პრაგმატული პოლიტიკის გამოვლინებად წარმოაჩინეს, ხოლო მაყურებელს კონტექსტის გარეშე შეახსენეს, რომ ოპოზიციამ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა. „მმართველ გუნდში ამბობენ, რომ საქართველო უკრაინის მხარეს დგას და ამას სახელისუფლებო ორგანოების არაერთი გადაწყვეტილება მოწმობს, - მათ შორის, თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველო მსოფლიოში მეორე ქვეყანა იყო, რომელმაც უკრაინას მხარდაჭერა პარლამენტში მიღებული რეზოლუციით გამოუცხადა და რომელსაც მხარი თავად ოპოზიციამ არ დაუჭირა.“

იმავე საღამოს თბილისის ცენტრში საქართველოს პარლამენტის შენობის წინ უკრაინისადმი სოლიდარობის გამომხატველი მრავალათასიანი აქცია გაიმართა. იმის მიუხედავად, რომ 25 თებერვალი უკრაინაში ომის დაწყებიდან მეორე დღე იყო და საზოგადოებისთვის აქტუალური იყო უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, „მოამბის“ რედაქციამ მაყურებელს აქციიდან პირდაპირი ჩართვა არ შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ შემდგომ დღეებშიც - 26, 27, 28 თებერვალს - რუსთაველის გამზირზე უკრაინისადმი სოლიდარობის გამომხატველი ხალხმრავალი აქციების გაშუქება 1-ელი არხისთვის პრიორიტეტული არ ყოფილა და უმეტესად გადაცემის მეორე ნაწილში შუქდებოდა.

ამ ფონზე „პირველი არხი“ კრიტიკულად აშუქებდა ოპოზიციის საქმიანობას და, ზოგჯერ, ჟურნალისტების ტექსტები მიკერძოებული იყო ოპოზიციის აქტივობების გაშუქებისას და უარყოფითად წარმოაჩენდა მათ.

მაგალითად, „მოამბის“ 11 მარტის გადაცემაში ვრცელი სიუჟეტი „საქართველოს დისკრედიტაციის მცდელობა“ (1:04:50) მიეძღვნა ოპოზიციის გაკეთებულ განცხადებებს. ჟურნალისტი აღწერდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უკრაინაში და „მთავარი არხის“ „დაქირავებული ჟურნალისტი“ აშშ-ში საქართველოს დისკრედიტაციას ცდილობენ. სიუჟეტში ჟურნალისტის ტექსტები იყო შეფასებითი, მიკერძოებული და მაქსიმალურად მიმართული ოპოზიციის უარყოფითად წარმოჩენისაკენ.

„უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღიდან ქართული ოპოზიცია ქვეყანაში პოლიტიკური

კრიზისის შექმნას კიდევ ერთხელ ცდილობს. ყველაფერი უკრაინის სოლიდარობის აქციებით დაიწყო, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინის მხარდამჭერი შეკრებები მალევე პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა“, – ჟურნალისტის ამ ტექსტით დასრულდა სიუჟეტი.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზია“

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ 20 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „მთავარს“. „აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში მონიტორინგის პირველ ეტაპზე უკრაინაში ომის დაწყებამდე ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მთავრობა გაშუქდა ყველაზე ნეგატიურად (დროის 16 % უარყოფითი ტონით). ყველაზე დადებითად გაშუქდა ადგილობრივი მთავრობა (დათმობილი დროის 23 % დადებითი ტონით).



უკრაინაში ომის დაწყების შემდგომ პერიოდში ცენტრალური მთავრობის გაშუქების დადებითმა ტონმა და ინტენსიურობამ იმატა (მისთვის დათმობილი დროის 25 % დადებითი გახდა). „აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციოში ასევე მოიმატა „ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების უარყოფითმა ტონმაც (დათმობილი დროის 24 %). ყველაზე დადებითად ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 79 %).



შინაარსობრივი შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია ქვეყანასა და რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ძირითადად ნეიტრალური ტონით აშუქებდა. წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგების მსგავსად, პოსტსაარჩევნო პერიოდშიც შეინიშნებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ზედაპირული გაშუქება და ანალიტიკური, სიღრმისეული მასალების ნაკლებობა.

არხი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულობით არ ხასიათდება, თუმცა შეიმჩნევა სიმპათიები ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. „მთავარში“ მმართველი გუნდის მიმართ კრიტიკა ისმის ძირითადად ოპოზიციური პარტიების მხრიდან და, ამავდროულად, მაყურებელი ინტენსიურად იღებს ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომელშიც აჭარის მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება უკრიტიკოდ, დადებითად არის წარმოჩენილი.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემები იყო პანდემია, უკრაინის კრიზისი და შუალედური არჩევნები. ასევე, ხშირად შუქდებოდა რეგიონში მუნიციპალური ბიუჯეტით დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების თემა. სიუჟეტები ცალმხრივად იყო გაშუქებული, გამოყენებულია პოზიტიური ტონი ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის მიმართ. მაგალითად: „ინფრასტრუქტურული სიახლეები ქობულეთში“; „სოციალური და ჯანდაცვის პროექტები ხელვაჩაურში“; „რა კეთდება ქედაში წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად“.

გარდა ამისა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული თემა გაშუქდა მნიშვნელოვანი დეტალების გარეშე. მაგალითად, 28 იანვარს სახელმწიფო

აუდიტის სამსახურმა კრიტიკული დასკვნა გამოაქვეყნა ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესახებ. ეს საკითხი აჭარის ტელევიზიის ეთერში მიიჩქმალა.

დასკვნაში არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ყურადღება იყო გამახვილებული ბოლო წლების განმავლობაში ამ ქალაქის ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე - მერია ვერ უზრუნველყოფს უკანონო მშენებლობების საკითხის მოგვარებას. ამ მხრივ ეს დოკუმენტი უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან გამყარდა ის კრიტიკა, რაც მანამდე ოპოზიციისა და ურბანისტების მხრიდან ისმოდა. დასკვნა 28 იანვარს საღამოს გამოქვეყნდა, თუმცა აჭარის ტელევიზიისთვაში ეს არაპრიორიტეტულად და არასრულფასოვნად გაშუქდა პასუხისმგებელი პირების გამოკვეთის გარეშე 30 იანვარს. ხოლოდ 31 იანვარს მასალის თემა იყო არა აუდიტის ანგარიში, არამედ ოპოზიციის „ბათუმის მერთან შეხვედრის კიდევ ერთი მცდელობა“.

„ოპოზიციას შეკითხვები აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებით ჰქონდათ... რაც შეეხება დასკვნას, მერიაში ამბობენ, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა, რომელიც უშუალოდ მერიას ეხება, უკვე გათვალისწინებულია“, - თქვა წამყვანმა სიუჟეტის წარდგენისას, სადაც ერთი სიტყვაც კი არ თქმულა, თუ რა პრობლემებზე იყო საუბარი აუდიტის ანგარიშში - ეთერში წაიკითხეს ბათუმის მერიის განცხადება, სადაც მიზეზები იყო ახსნილი. სიუჟეტის დასრულების შემდეგ გადაცემაში ჩართეს ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც წამყვანმა აუდიტის ანგარიშზე კი არ ჰკითხა, არამედ „ოპოზიციის დესტრუქციაზე“ და აპრილში დაგეგმილ შუალედურ საარჩევნო გეგმებზე.

24 თებერვლიდან მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში წამყვანი თემა გახდა რუსეთის ომი უკრაინაში და მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია აქტიურად აშუქებდა უკრაინაში მიმდინარე ომსა და მასთან დაკავშირებით ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებსა და შეფასებებს. ეთერი ეთმობოდა უკრაინიდან არხის სპეციალური კორესპონდენტის ამომწურავ მიმოხილვას, ასევე სიტუაციის ანალიზს და საერთაშორისო და საქართველოს ხელისუფლების შეფასებებს და განცხადებებს. ასევე, ეთერში ისმოდა ოპოზიციის კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების სუსტად გამოხატული პოზიციის გამო.

„მთავარის“ ეთერში ხვდებოდა თბილისსა და ბათუმში გამართული სოლიდარობის აქციებიც. ჟურნალისტები აქციებიდან პირდაპირ ეთერში ერთვებოდნენ, ან შესაბამის მასალებს კადრსინქრონის ფორმა ჰქონდა და ისინი ზოგჯერ ზედაპირული იყო: „სოლიდარობა უკრაინას“; „საპროტესტო აქცია თბილისში“; „საპროტესტო აქცია ქუთაისში“; „უკრაინის მხარდამჭერი აქცია ბათუმში“.

ასევე, „მთავარის“ ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ამ თემის გაშუქებისას აჭარის ტელევიზიამ დრო ძირითადად ხელისუფლებასა და მის პოზიციას დაუთმო. პირდაპირ ეთერში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის ბრიფინგით დაიწყო 2 მარტის მთავარი საინფორმაციო გამოშვება.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მთავრობის პოზიტიურმა გაშუქებამ მოიმატა, მათ შორის უკრაინის დახმარების

თვალსაზრისით. ამ ფონზე 7 მარტს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გაშუქდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის პასუხი კითხვაზე „ვინ დაიწყო ომი უკრაინაში“. „ეს უნდა ჰკითხოთ ამ დარგის ექსპერტებს“, - უპასუხა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ. უფრო მეტიც, იმავე საღამოს აჭარის მთავრობის სახლთან აქცია გაიმართა. ჟურნალისტი ჩაერთო ადგილიდან (20:04) - მას არ უთქვამს, იყო თუ არა ეს იმის გამოხმაურება, რაც იმ დღეს თორნიკე რიჟვაძემ თქვა. იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი რესპონდენტი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი „მოღალატეობრივს“ უწოდებდა მთავრობის თავმჯდომარის კომენტარს, აჭარის ტელევიზიის მაყურებელმა ვერ გაიგო, რომელ კომენტარს აკრიტიკებდნენ.

„სირცხვილიას“ წარმომადგენლები მართავენ აქციას, ისინი აპროტესტებენ რუსეთის აგრესიას უკრაინაზე. ასევე, დაწვეს პუტინის პოსტერები და ამით გააპროტესტეს ის აგრესია, რომელსაც უკრაინაში ახორციელებს... სიტყვითაც მიმართეს მათ აქ მყოფებს, განცხადებები ისმოდა ხელისუფლების მისამართითაც, გააპროტესტეს ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში საჯაროდ გაკეთებული განცხადებები საჯარო უწყებების წარმომადგენლების, უკრაინასთან დაკავშირებით. მიაჩნიათ, რომ ეს არის მიუღებელი მათთვის...“ - თქვა ჟურნალისტმა.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

მთავარი არხი

რაოდენობრივი შედეგები

„მთავარი არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „9 საათზე“, „შაბათის მთავარს“ და „პოსტფაქტუმს“. მონიტორინგის პირველ ეტაპზე, უკრაინაში ომის დაწყებამდე ყველაზე მეტი დრო ამ არხის ეთერში მთავრობას დაეთმო (დროის 76 % ნეგატიური ტონი). ყველაზე უარყოფითად კი იგი ბიძინა ივანიშვილს აშუქებდა (დათმობილი დროის 78% უარყოფითი ტონი).



უკრაინაში ომის დაწყების შემდგომ პერიოდში მთავრობის გაშუქების უარყოფითმა ტონმა ოდნავ იმატა (მისთვის დათმობილი დროის 78 %).

„მთავარ არხზე“ ასევე მოიმატა მიხეილ სააკაშვილის გაშუქების დადებითმა ტონმაც (მისთვის დათმობილი დროის 11 %).



შინაარსობრივი შედეგები

„მთავარი არხი“ ხელისუფლებისადმი მკვეთრად კრიტიკული არხია. მონიტორინგის პერიოდში მას მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა - მკვეთრად უარყოფითად წარმოაჩენდა ხელისუფლებას და, ამასთან, თვალსაჩინო იყო მიკერძოება „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილისადმი.

„მთავარი არხი“ გამოირჩევა ექსკლუზიური თემებით, კრიტიკული სიუჟეტებით, ადამიანის უფლებებსა და კორუფციასთან დაკავშირებული თემების გაშუქებით. ამ დროს იგი ხშირად არღვევს მიუკერძოებელი ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტებს. გარდა იმისა, რომ წამყვანები და ჟურნალისტები ავრცელებენ დაუსაბუთებელ, ზოგჯერ მანიპულაციურ ინფორმაციას, ამ არხის ეთერში ხელისუფლების მიმართ ისმის შეურაცხმყოფელი და უხამსი ეპითეტები. მთავარი არხი ცდილობს, გააშუქოს პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ყველა აქტივობა. მაყურებელს მას წარმოუდგენენ როგორც მხსნელს. მთელი მონიტორინგის განმავლობაში ეკრანზე იყო გამოტანილი წარწერა #თავისუფლებამიშას. გადიოდა სარეკლამო ტიხრებიც იმავე შინაარსით. საინფორმაციო გამოშვებებში მიხეილ სააკაშვილზე საუბრის დროს გამოიყენება სიტყვათშეთანხმებები: „პუტინისა და ივანიშვილის პირადი პატიმარი“, „პოლიტიკურ ტყვეობაში მყოფი პრეზიდენტი“. არხის გენერალური დირექტორი მონიტორინგის პერიოდში იყო დაინტერესებული პირი, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი.

უკრაინაში ომის დაწყებამდე „მთავარ არხზე“ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად უკრაინის კრიზისი და მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის საკითხები გაშუქდა. ამ პერიოდში არხი მთავრობას მაქსიმალურად უარყოფითად აშუქებდა. მთავარი

საინფორმაციო გამოშვების წამყვანები და ჟურნალისტები საავტორო ტექსტებში არ ერიდებიან ხელისუფლების მიმართ მწვავე, ზოგჯერ შეურაცხმყოფელ შეფასებებს.

კეთდება აქცენტები იმაზეც, რომ მმართველი პარტია რუსეთის ინტერესებს ემსახურება. მაგალითად, 14 თებერვალს მომზადებულ მასალაში, რომელიც ღარიბაშვილის ვაქცინაციასთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას შეეხებოდა, მისი განცხადება შეფასდა „მავნებლურად“ და „ანტივაქსერულად“. მასალას ერქვა „ანტივაქსერი პრემიერ-მინისტრი“.

„მავნებლობის კიდევ ერთი მაგალითი პრემიერ-მინისტრისგან. ირაკლი ღარიბაშვილი უკვე მერამდენედ ადასტურებს, რომ ანტივაქსერია და საჯარო განცხადებებით ფაქტობრივად სასიკვდილოდ წირავს ადამიანებს. მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა მოურიდებლად თქვა, რომ ვაქცინა არ მუშაობს და ამით კიდევ უფრო გაამყარა ანტივაქსერების უარყოფითი დამოკიდებულება“,- თქვა წამყვანმა.

გარდა ამისა, 21 თებერვალს არხზე ღარიბაშვილის მიუნხენის კონფერენციაში მონაწილეობა „უსარგებლო ვიზიტად“ შეფასდა. ასე ერქვა ამ საკითხზე მომზადებულ მასალას.

„ვიმსჯელეთ უკრაინაში ვითარების განმუხტვის გზებზე. - ეს ფრაზა საქართველოს პრემიერის იმ განცხადებაში წერია, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი მიუნხენში ვიზიტს აჯამებს. ღარიბაშვილი, რომელიც არც უკრაინის პრემიერს და არც დასავლეთის ქვეყნების პირველ პირებს შეხვედრია, ამბობს, რომ უკრაინის საკითხებზე იმსჯელა. სინამდვილეში, საქართველოს პრემიერის მიუნხენის კონფერენციაზე ვიზიტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა სრულ კოლაფსშია“, - თქვა მასალის ავტორმა.

ომამდე, უკრაინის კრიზისის გაღრმავების პარალელურად მთავარი არხის სარედაქციო გუნდი მუდმივად აკეთებდა მინიშნებებს ან პირდაპირ აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსულ პოლიტიკას ატარებს. იმავე მინიშნებებს აჩენდა 22 თებერვალს მთავარ გამოშვებაში გასული სიუჟეტიც „2008-საქართველო, 2022-უკრაინა“. იმავე პათოსს ატარებდა 18 თებერვალს „მთავარში“ გასული მასალა „შავი სია რუსეთის ხელისუფლებისგან“.

„რევერანსი პირადად ვლადიმერ პუტინს. ქართული ოცნების ხელისუფლებამ რუსეთიდან კიდევ ერთი ოპოზიციონერი ქვეყანაში არ შემოუშვა... თავად ქართულ ოცნებას პრაქტიკულად აღიარებითი ჩვენება ჰქონდა - მმართველი პარტიის ლიდერები ადასტურებენ, რომ ცდილობენ, არ გააღიზიანონ კრემლი“, - თქვა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა.

ამავდროულად, საინფორმაციო გამოშვებებში საქართველოს მესამე პრეზიდენტი მუდმივად პოზიტიურად არის წარმოჩენილი და საინფორმაციო სამსახურის მის ფეისბუკსტატუსებზე ამზადებს მასალებს. უკრაინაში ომის დაწყებამდე პრაქტიკულად ყველა საინფორმაციო გამოშვებაში ერთხელ მაინც იყო ნახსენები მიხეილ სააკაშვილი - ან მის გეგმებზე, ან ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ან მიმდინარე სასამართლო პროცესზე, ან მის ფეისბუკსტატუსზე.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ „მთავარი არხი“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების თითქმის მთელ დროს უკრაინაში მიმდინარე ომის გაშუქებას უთმობს და სიუჟეტებს ქვეყნის შიდა პრობლემების შესახებ ნაკლები დრო ეთმობა.

უკრაინაში მიმდინარე საომარი პროცესების გაშუქებისას არხი ძირითადად ეყრდნობა უკრაინის მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოური მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

„მთავარი“ აქტიურად აშუქებდა თბილისში უკრაინის მხარდამჭერ ყველა საპროტესტო აქციას. - აქციები გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში, ან იყო ჩართვები აქციებიდან.

ომის დაწყების შემდეგ „მთავარ არხზე“ მთავრობის გაშუქების უარყოფითმა ტონმა იმატა. არხი მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს ხელისუფლება გვერდით არ უდგას მეგობარ ქვეყანას. ამ დროს დასაბუთებულ კრიტიკასთან ერთად მთავარი არხის ეთერში გადიოდა ხელისუფლების მიმართ შეურაცხმყოფელი, უხამსი შინაარსის მქონე სიუჟეტებიც. მაგალითად, 3 მარტის „პოსტფაქტუმში“ გასულ მასალაში რომელიც პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს ეძღვნება, ჟურნალისტი მას „რუსულ ჯართს“ უწოდებს და „გასაყიდად ebay-ზე გააქვს“.

„ალბათ ყველამ გაიგეთ ის ამბავი, უკრაინელმა ბოშებმა რომ რუსებს ტანკი წაართვეს და ეს რუსული ჯართი ერთ-ერთ ყველაზე დიდ ონლაინ მაღაზიაზე, ebay-ზე გამოდეს გასაყიდად. გადავწყვიტე, მეც მიმებაძა უკრაინელი ბოშებისთვის და ebay-ზე გასაყიდად არანაკლები რუსული ჯართი, ირაკლი ღარიბაშვილი გამომედო. ხუმრობა არ გეგონოთ, მეგობრებო, მართლა ვყიდით ირაკლი ღარიბაშვილს.

შევდივართ ebay-ზე. ვტვირთავთ ღარიბაშვილის ფოტოს. სასურველია, იყოს სიმპატიური. სამწუხაროდ, ასეთი ფოტო არ მოგვეპოვება, მაგრამ არაუშავს, რაცაა, ეგაა. ასევე, კარგად რომ გაიყიდოს, აღწერაში ვუთითებთ ასეთ რამეს: არის პატრონის დამჯერი და მადლიერი. ნამდვილად არის...

გაწვრთნილია რუსულად. ეტყვი: სიძეც - ჯდება. ეტყვი: ლეჟაც - წვება. გადასარევი სმენადობა აქვს. ნუ, ნახმარია, მეორადი ნივთია. ფასი, ფასი უნდა იყოს ალბათ 41 რუბლი, რაც არის ... 30 თეთრი ყოფილა, მეგობრებო. თავის ფასში ვყიდი ფაქტობრივად. ეგ არი. რუსული ჯართი აიტვირთა. ირაკლი ღარიბაშვილი იყიდება“.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

იმედი

რაოდენობრივი შედეგები

„იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკას“ 8 საათზე, “შაბათის ქრონიკა” და „იმედის კვირას“. „იმედის“ ეთერში მონიტორინგის პირველ ეტაპზე, უკრაინაში ომის დაწყებამდე ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად მთავრობა გაშუქდა (დათმობილი დროის 39 % დადებითი ტონით), ყველაზე უარყოფითად პარტია ,,საქართველოსთვის“ (დათმობილი დროის 80 % უარყოფითი ტონით) და მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა (დათმობილი დროის 79 % უარყოფითი ტონით).



უკრაინაში ომის დაწყების შემდგომ პერიოდში „იმედზე“ მთავრობის და ,,ქართული ოცნების“ გაშუქების სიხშირე გაიზარდა. ყველაზე დადებითად მთავრობა შუქდებოდა (დათმობილი დროის 18 %) ხოლო ყველაზე უარყოფითად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (დათმობილი დროის 59 % უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „იმედი“ მკვეთრად გამოკვეთილი სახელისუფლებო არხია. პოსტსაარჩევნო მონიტორინგის პერიოდში „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გადაცემა, მუნიციპალური არჩევნების მსგავსად, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი მიკერძოებით გამოირჩევა. მისი სარედაქციო პოლიტიკა იყო ხელისუფლების დადებითად წარმოჩენა და ოპოზიციის დისკრედიტაცია.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემები იყო პარლამენტის წევრებისთვის მანდატების შეჩერება, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა და პანდემია. ისევე როგორც ხელისუფლების მიმართ სხვა ლოიალურ ტელეარხებზე, ამ დროს „იმედზეც“ განსაკუთრებით პოზიტიურად შუქდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და თბილისის მერის, კახა კალაძის საქმიანობა და სიუჟეტები სრულდება მმართველი გუნდის წარმომადგენლების კომენტარებით.

პოსტსაარჩევნო მონიტორინგის პერიოდში საინფორმაციო გადაცემაში არ გასულა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არცერთი სიუჟეტი და მასალა. „ქრონიკის“ ეთერში კრიტიკულად და ნეგატიურად შუქდება მხოლოდ ოპოზიცია, განსაკუთრებით კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი. მას მოიხსენიებენ როგორც „პატიმარ სააკაშვილს“, „ნაციონალების ბელადს“ და “სააკაშვილს, რომელიც საქართველოში არაჟანთან ერთად შემოვიდა“. ამავდროულად, პრემიერ-მინისტრის მუშაობისთვის ხაზგასასმელად ჟურნალისტები იყენებენ სიტყვათშეთანხმებას „პრემიერის უშუალო დავალებით“.

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რუსთავი 2-ის მსგავსად, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შესახებ მასალა 31 იანვარს „იმედის“ ეთერშიც გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ, თუკი იმ ორი

არხის შემთხვევაში საუბარი იყო ნეგატიური დეტალების მიჩქმალვასა თუ არხსენებაზე, ამ შემთხვევაში ის უფრო ცალსახად პოზიტიურად იყო წარმოჩენილი.

„რეგიონსა და ევროპაში ერთ-ერთი პირველი - მთავრობის მოლოდინი გამართლდა. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 11 პროცენტამდე გაიზარდა. გასული წლის სხვა თვეების მსგავსად, გამონაკლისი არ აღმოჩნდა დეკემბერი“, - ამბობდა სიუჟეტის ავტორი.

ამ შემთხვევაშიც მაყურებელს შესთავაზეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის, საქსტატის ხელმძღვანელის, ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის ხელმძღვანელის კომენტარები. არც ამ შემთხვევაში ისმოდა განსხვავებული მოსაზრება, არ გაჟღერებულა ინფორმაცია არც ინფლაციის მაღალ მაჩვენებლებზე.

აღსანიშნავია, რომ „იმედის“ ეთერში 3 თებერვალს მომზადდა სიუჟეტი ,,ინფლაცია“ მაღალი ინფლაციის შესახებ. არხმა ეს საკითხი მაყურებელს შესთავაზა როგორც გლობალური პრობლემა და არ გაამახვილა ყურადღება საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე.

„გლობალური გამოწვევების გავლენა ლოგიკურად საქართველოსაც შეეხო, თუმცა პროგნოზი უკვე ოპტიმისტურია“, - თქვა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა. ამავე მოსაზრებას ამყარებდნენ სიუჟეტში ჟურნალისტი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილეები და დეპუტატები სახელისუფლებო პარტიიდან და, ასევე, ექსპერტის სტატუსით ჩაწერილი რესპონდენტები. უფრო მეტიც, „იმედმა“ თავისი სარედაქციო პოლიტიკის დამახასიათებელ სტილში ამავე საინფორმაციო გამოშვებაში „პანდემია და გაზრდილი ფასები“ მაყურებელს უამბო, რომ ინფლაცია მხოლოდ საქართველოში არ არის და რომ მსგავსი პრობლემის გამო დიდ ბრიტანეთში ხალხი არჩევანს აკეთებს კომუნალურ გადასახადებსა და საკვებს შორის.

სიუჟეტში „პანდემია და გაზრდილი ფასები“ ჟურნალისტი მაყურებელს ეუბნებოდა, რომ მსგავსი პრობლემის გამო დიდ ბრიტანეთში ხალხი არჩევანს აკეთებს, კომუნალური გადასახადები გადაიხადონ თუ საჭმელი იყიდონ. „გათბობა გამორთული მაქვს, მხოლოდ მაშინ ვრთავ, როცა გაუსაძლისად ცივა“, - ამბობდა რესპონდენტი. ჟურნალისტმა მაყურებელს აცნობა, რომ ფასები გაზრდილია ევროზონაში და აშშ-შიც.

ხელისუფლების მიმართ მიკერძოებული იყო და ოპოზიციის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად 30 იანვარს გასული სიუჟეტი „ოპოზიციის ყალბი სოლიდარობა“. უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში მაყურებელმა ოპოზიციის ვერცერთი წარმომადგენლის კომენტარი ვერ იხილა.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ომი „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემა გახდა. ამავდროულად, „იმედი“ მუდმივად იმეორებდა მმართველი პარტიის ნარატივს, რომ „საქართველო უკრაინის გვერდით დგას“ და მას ეხმარება. მაგალითად, ასეთი სიუჟეტები გავიდა 25 თებერვლის, 26 თებერვლის, 27 თებერვლის, 28 თებერვლის და ა.შ. საინფორმაციო გამოშვებებში.

„დღეს ჩვენი ქვეყანა ომის ცეცხლში გახვეული მეგობარი ქვეყნის მხარდასაჭერად და რუსული აგრესიის შესაჩერებლად ყველა საერთაშორისო ფორმატს იყენებს. სახელმწიფოს პოზიცია

შეუვალია. საქართველო გმობს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრას და უკანონო ქმედებების დაუყოვნებლივ შეჩერებას ითხოვს“, - ამბობდა ჟურნალისტი 27 თებერვალს „იმედის კვირაში“.

„იმედმა“ არ გააშუქა 25 თებერვლის უკრაინის სოლიდარობის და მთავრობის პოზიციის გასაპროტესტებელი ხალხმრავალი აქცია თბილისში, პარლამენტის წინ. აქცია იმ დღეს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადების საპასუხოდ გამართეს მოქალაქეებმა და ისინი მის გადადგომას მოითხოვდნენ.

ზოგადად, „იმედი“ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ უკრაინის სოლიდარობის აქციების ზედაპირული გაშუქებით გამოირჩეოდა. თუკი 25 თებერვლის საინფორმაციო გამოშვებაში აქცია საერთოდ არ გაშუქდა, 24 თებერვალს და 26 თებერვალს მას მხოლოდ რამდენიმე წამი დაეთმო. ეს არ იყო ცალკეული შემთხვევები. ცალკე აღნიშვნის ღირსია 4 მარტის საინფორმაციო გამოშვება. აქციის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო გამოშვებაში მას მხოლოდ 40 წამი დაეთმო. არ ჩანდა მასშტაბები, ხალხის სიმრავლე - ითქვა, რომ იგეგმებოდა უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის სიტყვით მიმართვა. იმ დროს, როდესაც შეკრებილებს ზელენსკი მიმართავდა, „ქრონიკის“ სტუდიაში ექსპერტ გიორგი ანთაძესთან იყო ინტერვიუ. წამყვანმა თქვა, რომ მიმართვა დაიწყო, აჩვენეს რამდენიმეწამიანი კადრი, თუმცა მიმართვა, სინქრონული თარგმნის მიუხედავად, პირდაპირ ეთერში არ გაუშვიათ.

იყო შემთხვევები, როცა „იმედი“ აშუქებდა ამ აქციებს, თუმცა მხოლოდ მისი დისკრედიტაციის მიზნით. ასე იყო 28 თებერვლის საინფორმაციო გამოშვებაში. ამ მასალაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ უკრაინაში დაწყებული ომის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება სურს „ნაციონალურ მოძრობას“ და რომ ერთ-ერთი პუნქტი ახალგაზრდების პროტესტის გამოყენებაა.

„გამოქვეყნებული გეგმის მიხედვით შესრულებულია კიდევ ერთი პუნქტი, საპროტესტო აქციები სახალხო მოძრაობის სახელით კონცერტის ფონზე“, - თქვა მასალის ავტორმა.

უკრაინაში დაწყებული ომის დროს „იმედის“ ეთერში ოპოზიციური პარტიების, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობის“ ნეგატიურად გაშუქებისთვის სწორედ ეს თემა იყო გამოყენებული. მაყურებელს მუდმივად უმეორებდნენ „ქართული ოცნების“ ნარატივს, რომ ომი მოხდა წინა ხელისუფლების პოლიტიკის გამო და ახლანდელ ოპოზიციას ომის დაწყება უნდა. ამ კონკრეტული ნარატივის მაგალითია 13 მარტს „იმედის კვირაში“ გასული სიუჟეტი „სააკაშვილის პარტიის ფლირტი კრემლთან“.

„ღალატიც არის და ღალატიც. თუმცა რა უნდა მოსთხოვო პარტიას, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორ წელში ოკუპანტ ქვეყანასთან უვიზო რეჟიმი აამოქმედა და რუსეთიდან შემოსული ინვესტიციებით ძალიან იწონებდა თავს. სახელმწიფოს და არა კონკრეტული პოლიტიკის გუნდის წინააღმდეგ დაწყებული სააკაშვილის და მისი გარემოცვის საშიში თამაში ნახეთ“, - ასე წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9-საათიან „კურიერს“. „რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორინგის პირველ ეტაპზე უკრაინაში ომის დაწყებამდე ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა ყველაზე ნეგატიურად (გამოყოფილი დროის 45 % უარყოფითი ტონით). ყველაზე დადებითად გაშუქდა ადგილობრივი მთავრობა (მისთვის დათმობილი დროის 52 % დადებითი ტონით).



უკრაინაში ომის დაწყების შემდგომ პერიოდში „რუსთავი 2“-ზე მთავრობის გაშუქების დადებითმა ტონმა მცირედით იკლო (მისთვის დათმობილი დროის 32%). ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების უარყოფითი ტონი გაიზარდა (მისთვის დათმობილი დროის 55 %).



შინაარსობრივი შედეგები

პოსტსაარჩევნო მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა მიკერძოებული იყო ხელისუფლების მიმართ და, ხშირ შემთხვევაში, მისი საქმიანობის პოზიტიურად წარმოჩენას ცდილობდა. ამ დროს ის უარყოფითად აშუქებდა ოპოზიციას, განსაკუთრებით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე „კურიერი“ თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: კორონავირუსი, ეკონომიკა, კრიმინალი, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, ადგილობრივი მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტები.

არხზე კონტექსტისა და წინა ისტორიის გარეშე შუქდება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული თემები. მაგალითად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბაზაზე შესაქმნელი ორი ახალი უწყების ხელმძღვანელების არჩევის პროცესის გაშუქების დროს არ იყო ნახსენები, როგორ გაუქმდა უწყება და რა გამოხმაურებები მოჰყვა მას. არხზე ტენდენციის ხასიათი აქვს სიუჟეტის ბოლო კომენტარად ხელისუფლების წარმომადგენლის შეფასების ჩასმას.

„კურიერში“ განსაკუთრებით დადებითად შუქდება პრემიერ-მინისტრის საქმიანობა. ირაკლი ღარიბაშვილზე საუბრის დროს სიუჟეტის ავტორები ხაზს უსვამენ „პრემიერის პირადი ჩართულობით“, „პრემიერის ინიციატივით“ მიღწეულ წარმატებას. სწორედ ამ პათოსით გაშუქდა 22 თებერვალს ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის 1-წლიანი პერიოდის შეჯამება (38:40). 6-წუთიან სიუჟეტში არ დასმულა არცერთი კრიტიკული კითხვა. მაყურებელს არ უნახავს დამოუკიდებელი ექსპერტის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ან ოპოზიციის შეფასება. მხოლოდ მმართველი გუნდისა

და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ისმოდა პრემიერის ქება. „ერთი წლის განმავლობაში მოგვარდა ვაქცინების პრობლემა და გამყარდა ლარის კურსი“, - ამბობდა წამყვანი სიუჟეტის წარდგენის დროს.

სიუჟეტში მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც ღარიბაშვილის მუშაობას დადებითად წარმოაჩენდა. არაფერი თქმულა გაზრდილ ინფლაციაზე, საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკაზე.

მმართველი გუნდის სასარგებლოდ გაშუქდა „კურიერში“ 27 იანვარს NDI-ს კვლევა. მაშინ, როცა ამ კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნება იყო ის, რომ „უმრავლესობა ფიქრობს, რომ არავინ მოქმედებს ხალხის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“ და ამაში იგულისხმებოდა როგორც მმართველი პარტია, ისე, ოპოზიცია. ეს „რუსთავი 2“-ის წამყვანების ტექსტში ასე მკაფიოდ არ ჩანდა (14:41).

„კვლევა, რომელიც დღეს NDI-მ გამოაქვეყნა, არცერთი პოლიტიკური მოთამაშისთვის არ არის მოსაწონი, მაგრამ განსაკუთრებით მძიმეა ის ოპოზიციისთვის. გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ოპოზიციური პარტიები არ მოქმედებენ ხალხის ინტერესების სასარგებლოდ...

ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ პარტიას, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი გამოკითხულთა მხოლოდ 9 პროცენტი უჭერს მხარს...” - ამბობდნენ წამყვანები.

იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა წილი - 9% ნეგატიურ კონტექსტში იყო წარმოჩენილი, წამყვანს არაფერი უთქვამს მმართველი გუნდის - „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე, რაც 24% იყო.

არა მარტო NDI-ს ჩატარებული კვლევა გაშუქდა მნიშვნელოვანი დეტალების მიუწოდებლად „რუსთავი 2“-ის ეთერში. ასე გაშუქდა ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით „გორბის“ ჩატარებული კვლევაც, რომლის მიხედვითაც მოსახლეობას მთავრობის მიერ უკრაინასთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები მოსწონს. 21 მარტს გაშუქებულ ამ ახალ ამბავში „რამდენად მართებულია „ქართული ოცნების“ მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებები უკრაინა-რუსეთის ომთან დაკავშირებით - „გორბი“ საზოგადოებრივი აზრის კვლევას აქვეყნებს“. არც წამყვანს და არც ჟურნალისტს არ უთქვამთ, რომ კვლევა ჩატარდა ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით, რომელსაც აქვს გაცხადებული სარედაქციო პოლიტიკა - „არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება“. ეს არის კვლევის დეტალი, რომლის მითითებაც მნიშვნელოვანია დასკვნების სწორად გამოსატანად.

სიუჟეტში ასევე არაფერი თქმულა, რომ სანქციების არდაწესების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადების გასაპროტესტებლად 25 თებერვალს თბილისში მრავალათასიანი აქცია გაიმართა, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა. „გორბმა სოციალური გამოკითხვა ჩაატარა ქვეყნის მასშტაბით 10-16 მარტს. კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ უკრაინაში მიმდინარე რუსული აგრესიის ფონზე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მთავრობის ქმედებებს პოზიტიურად აფასებს“, - ამ სიტყვებით დაასრულა პირდაპირი ჩართვა მასალის ავტორმა.

„რუსთავი 2“-ის ეთერში რუსეთ-უკრაინის ომის თემა გახდა მთავარი 24 თებერვლის შემდეგ. „კურიერში“ მაყურებელს სთავაზობენ პირდაპირ ჩართვებს უკრაინიდან. „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტები უკრაინიდან „კურიერში“ ყოველდღე დეტალურად მიმოიხილავენ: ამბებს ფრონტის წინა ხაზიდან, ყველა ქალაქიდან, სადაც კი საომარი მოქმედებები მიმდინარეობს; დანაკარგებს რუსულ და უკრაინულ ჯარში; დევნილების მდგომარეობას პოლონეთში და ევროპულ ქვეყნებში; ინფორმაციას სანქციების თაობაზე რუსეთის წინააღმდეგ და მის შესაძლო შედეგებს; თამარ ნუცუბიძე ყოველდღიურად ერთვება სტრასბურგიდან ან ბრიუსელიდან; შუქდება პრეზიდენტ ზელენსკის ყველა გამოსვლა; სისხლის სამართლის საქმე ჰააგაში; ომის დროს დაზარალებულთა ისტორიები; რუსეთში მიმდინარე მცირე საპროტესტო გამოსვლები; რუსული ბიზნესის კოლაფსი; საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რუსეთის გარიცხვა; როგორ უჭერენ მხარს უკრაინას მსოფლიო ვარსკვლავები. ცენზურა რუსეთში; „კურიერში“ ყოველდღიურად შუქდებოდა უკრაინელების სოლიდარობის აქცია თბილისში.

ამ ფონზე „რუსთავი 2“ აქტიურად და დადებით კონტექსტში აშუქებდა ხელისუფლების სხვადასხვა ტიპის დახმარებას უკრაინისადმი: ჰუმანიტარული დახმარება უკრაინას, „წალენჯიხაში უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარულ ტვირთს „ქართული ოცნების“ ოფისში აგროვებენ, „საჩუქარი უკრაინელ ბავშვებს“ – „უკრაინელი მოსწავლეები“ -

„რუსთავი 2“-ის მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა ჩანდა მნიშვნელოვანი თემების გაშუქებისას აქცენტების გამოკვეთის დროს. მაგალითად, 14 მარტს, როცა საპარლამენტო მოხსენების დროს საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ მთავრობამ მას უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საერთაშორისო ვიზიტების გამართვის უფლება არ მისცა - არხისთვის საინტერესო საკითხი უარის თქმის მიზეზების გამოკვლევა კი არ გახდა, არამედ ის, კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებდა თუ არა პრეზიდენტი, როცა ის მაინც წავიდა საზღვარგარეთ. პრეზიდენტის საპარლამენტო მოხსენებაზე, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით არა 5, არამედ 14 მარტს გაიმართა და რომლითაც სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციასთან ერთად ხელისუფლებაც გააკრიტიკა, საინფორმაციო გამოშვების მეორე ნახევარში გავიდა (38:20).

„დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია, პოლიტიკოსებსა და კონსტიტუციონალისტებს დღეს კანონის გახსენება მოუწიათ. სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტარებს განუცხადა, რომ მთავრობის უარის მიუხედავად, ევროპელ ლიდერებთან შეხვედრები თავისი ინიციატივით გამართა... ფორმალური დარღვევა თუ კონსტიტუციიდან გადახვევა - ირკვევა, რომ ქვეყნის მთავარი კანონის მიხედვით, მთავარსარდალს, ამ შემთხვევაში პრეზიდენტს, საგარეო ურთიერთობებში საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად მთავრობის თანხმობა სჭირდება“, - თქვა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა სიუჟეტის წარდგენის დროს.

თემების გაშუქება (%)
რუსთავი 2
24 იანვარი - 23 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)
რუსთავი 2

24 თებერვალი- 23 მარტი, 2022



*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „პირველებს“ და „ნოდარ მელაძის შაბათს“. მონიტორინგის პირველ ეტაპზე, უკრაინაში ომის დაწყებამდე ამ არხზე ყველაზე ბევრჯერ გაშუქდა „ქართული ოცნება“ (დროის 55 % უარყოფითი ტონით), ყველაზე უარყოფითად კი ადგილობრივი მთავრობა (დროის 83 % უარყოფითი ტონით). არხზე ყველაზე დადებითად გაშუქდა „ლელო საქართველოსთვის“ (დროის 10 % დადებითი ტონით).



უკრაინაში ომის დაწყების შემდგომ პერიოდში „ტვ პირველზე“ „ქართული ოცნების“ გაშუქების უარყოფითი ტონი გაიზარდა (დროის 64 % უარყოფითი ტონით). ყველაზე უარყოფითად გაშუქდა ბიძინა ივანიშვილი (დათმობილი დროის 85 %).



შინაარსობრივი შედეგები

„ტვ პირველი“ ხელისუფლების მიმართ მკვეთრად კრიტიკული არხია. მუნიციპალური არჩევნების პერიოდში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგების მსგავსად, პოსტსაარჩევნო პერიოდშიც „ტვ პირველის“ სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლებასთან მკვეთრად დაპირისპირებულ რეჟიმში მუშაობდა. არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მუდმივად უარყოფითად იყო წარმოჩენილი პარტია „ქართული ოცნება“ და მთლიანად ხელისუფლება. ამ დროს ხშირად ირღვეოდა მიუკერძოებლობის, ბალანსისა და ინფორმაციის გადამოწმების ჟურნალისტური სტანდარტი.

სამონიტორინგო პერიოდში განსაკუთრებით უარყოფითად შუქდებოდნენ კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, თბილისის მერი კახი კალაძე. ამასთან, საინფორმაციო გამოშვებაში არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე ერთი ოპოზიციური პარტიის მიმართ, თუმცა შეიმჩნეოდა სიმპათია საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

რუსეთ-უკრაინის ომამდე „ტვ პირველის“ მთავარი თემა იყო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა. არხზე ასევე აქტიურად შუქდებოდა უკრაინის კრიზისი და პანდემია. ამ დროს საინფორმაციო გამოშვება ხშირად იხსნებოდა კრიმინალური ამბით, უმრავლეს შემთხვევაში რიგითი კრიმინალური სიუჟეტის გაშუქების დროსაც მაქსიმალურად ცდილობდნენ, ხელისუფლების უარყოფითად წარმოჩენას. ჟურნალისტების ტექსტები ხშირად შეფასებითი იყო და არ ეფუძნებოდა ფაქტებს. მაგალითად, საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა ასე წარადგინა 16 თებერვალს გასული სიუჟეტი „ვის მიაქვს შავი ფული ირაკლი ღარიბაშვილთან“. სიუჟეტში, სადაც პრემიერ-მინისტრს კორუფციაში ადანაშაულებდნენ, ავტორი ასევე ლაპარაკობდა „კახურ კლანზე“,

რის არგუმენტები და მტკიცებულებები სიუჟეტში არ იყო. დასახელებული იყო რამდენიმე კომპანიის დამფუძნებელი ირაკლი სამყურაშვილი, რომლის უკანაც, სიუჟეტის მიხედვით, დგას ირაკლი ღარიბაშვილი და ის ამ კომპანიებით მილიონებს შოულობს. ეს ინფორმაცია არ იყო საკმარისად შემოწმებული და დადასტურებული. სიუჟეტში არ ჩანდა არც ერთი სანდო წყარო ან მტკიცებულება, რაც ამბის ნამდვილობას დაამტკიცებდა. მიუხედავად ამისა, მთელი სიუჟეტი აგებული იყო ე.წ. კორუფციის მკვლევრების ეჭვებზე, თუმცა წამყვანისა და ჟურნალისტის ტექსტები ეჭვების სფეროს სცდებოდა და მტკიცებითი ფორმით ადანაშაულებდა ღარიბაშვილს.

უკრაინაში ომის დაწყების დღიდან „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებებში მთავარი თემა გახდა უკრაინის ომი. მონიტორინგის ამ პერიოდში საინფორმაციო გამოშვების დიდი ნაწილი უკრაინის ომის გაშუქებას ეთმობა. საინფორმაციო გადაცემის ყველა გამოშვებაში ფართოდ შუქდებოდა ომის ბატალიები, ომის მსხვერპლთა ტრაგიკული ისტორიები, ასევე, საერთაშორისო საზოგადოების და დასავლეთის ქვეყნებისა და აშშ-ს ხელისუფლებისა და დიპლომატების შეფასებები და ომის შეჩერების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები.

ამასთან, თუკი უკრაინაში ომის დაწყებამდე არხი ხელისუფლების წარმომადგენლების კრიტიკის დროს რომელიმე წყაროს ეყრდნობოდა, 24 თებერვლის შემდეგ ეს შეიცვალა. ამავე პერიოდიდან გამძაფრდა კრიტიკა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ და ზოგჯერ ამისთვის იყენებდნენ თბილისის ცენტრში გამართული აქციებს. მაგალითად, 26 თებერვალს „ნოდარ მელაძის შაბათი“ გაიხსნა წამყვანის მონოლოგით:

„სალამი ჩვენი სტუდიიდან ადამიანებს, რომლებიც ახლა ქვეყნის მთავარ გამზირზე პროტესტით დგანან, რომლებიც ჩვენი სამარცხვინო ხელისუფლების ნაცვლად ცდილობენ, ამ ქვეყანას ღირსება შეუნარჩუნონ, რომელთა პროტესტის ორმა დღემ შედეგი უკვე გამოიღო, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დღეს გამოსცა განკარგულება, რომ ერთ მილიონ ლარს საქართველო უკრაინას ჰუმანიტარული დახმარების სახით გადაურიცხავს და კიდევ ერთი მილიონის ჰუმანიტარულ ტვირთს გაუგზავნის. თუმცა გუშინ საქართველოს პრემიერის ყოვლად სამარცხვინო განცხადებამ საქართველოს თავი მოსჭრა. არ დარჩენილა მსოფლიოში ცივილიზებული დემოკრატი მმართველი, რომელიც პუტინის რეჟიმს არ გაემიჯნა. ერთადერთი გამონაკლისი საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო, რომელმაც თქვა, არ იქნება სანქციები საქართველოს მხრიდან, არ ჩავალ უკრაინაში და მექნება პრაგმატული პოლიტიკაო. პრაგმატული პოლიტიკა საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის, როგორც აღმოჩნდა, არის მხოლოდ ის, რომ მოსკოვი არ გააბრაზოს, მოსკოვთან პოლიტიკური ფლირტი ჰქონდეს. ალბათ, ირაკლი ღარიბაშვილი ოცნებობს დროზე, რომ მოსკოვში ისევ 37 მანეთად იფრინოს. ჩვენ სხვა საქართველო ვართ, ჩვენ სხვა თაობა ვართ, ჩვენ არ გვინდა არც ასეთი მმართველი და არც ასეთი პრემიერი“, - თქვა გადაცემის წამყვანმა.

კიდევ ერთი ხაზი, რომელსაც „პირველების“ გუნდი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ ატარებდა, მისი პრორუსულობა და დასავლეთის ქვეყნებისგან გამიჯვნა იყო. ასე გამოიყენა არხმა პრემიერის განცხადება სანქციებთან დაკავშირებით 28 თებერვალს.

„დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის საკითხზე ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება სულ სხვადასხვა მხარეს დგანან. ღარიბაშვილი

ცალსახად პუტინის სამსახურშია. მისი განცხადება სხვა არაფერია, თუ არა ოკუპანტი ქვეყნის ლიდერის საამებლად ნათქვამი სიტყვები...“ - თქვა წამყვანმა სიუჟეტის (20:31) წარდგენის დროს. ჟურნალისტმა ამავე ტონალობაში გააგრძელა ამბის თხრობა.

„უკრაინის კრიზისმა საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა ნათლად გამოააშკარავა. დასტურდება ის, რაზეც ამ წლების განმავლობაში ყველა საუბრობდა - საჭირო დროსა და მომენტში ქვეყანამ დასავლეთს ზურგი აქცია და რუსეთისა და ბელარუსის გვერდით დადგა“, - თქვა ჟურნალისტმა სიუჟეტის დასასრულს.

„პირველები“ ზოგჯერ სამთავრობო გუნდის დისკრედიტაციისთვის იყენებს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებსაც კი, როგორიცაა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა. 3 მარტს საინფორმაციო გამოშვებაში ამ საკითხზე მომზადებული სიუჟეტი „განაცხადი ევროკავშირში“ (41:58) არაპრიორიტეტულ თემად საინფორმაციო გამოშვების დასრულებამდე 10 წუთით ადრე გავიდა. მას უსწრებდა მასალა სახელწოდებით „პუტინი, ლუკაშენკო და კობახიძე - ვინ ებრძვის ზელენესკის“.

„ქართველი ხალხის პროტესტმა ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი ორი წლით დააჩქარა. თბილისში მასშტაბური აქციის შემდეგ „ოცნების“ ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეკეთებინა ის, რასაც ამ დრომდე არ აკეთებდა... ევროკავშირმა უნდა იმსჯელოს, არის თუ არა საქართველო მზად დიდ გაერთიანებაში მისაღებად. ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა კი ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაა, რითაც „ოცნება“ ნამდვილად ვერ დაიკვეხნის...“ - თქვა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა.

სიუჟეტში საკითხი ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს საქართველოს ამ განაცხადის შეტანა ნებისმიერ მომენტში შეეძლო, თუმცა საინფორმაციო გამოშვებაში არ განუმარტავთ, რომ ეს შანსი ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა გააჩინა. მასალაში ვერ მოვისმინეთ ვერც პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის კომენტარი, რომელიც ამ განაცხადის შეტანამდე გაჩენილ პოზიტიურ სიგნალებზე ლაპარაკობდა.





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გენდერული სტერეოტიპები – სატელევიოზიო ახალ ამბებში

მონიტორინგის პერიოდში სატელევიზიო ახალ ამბებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)
საზოგადოებრივი მაუწყებელი
24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)
აჭარის ტელევიზია
24 იანვარი - 23 მარტი, 2022




სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით(%)
მთავარი არხი
24 იანვარი - 23 მარტი, 2022
16
60
24
ქალი
კაცი
განისაზღვრელი


სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)
რუსთავი 2
24 იანვარი - 23 მარტი, 2022
15
62
23
ქალი
კაცი
განუსაზღვრელი

სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით(%)
იმედი
24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით(%)
ტვ პირველი
24 იანვარი - 23 მარტი, 2022